

მობილური და ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურებების ფასების ანალიზი

ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული
განვითარების დეპარტამენტი

აგვისტო, 2019

მიზანი

წინამდებარე მოკვლევა მიზნად ისახავს საქართველოში მობილური და ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურებების ფასების ანალიზს ევროპის ქვეყნებთან მიმართებაში.

წყარო

ანალიზში გამოყენებული მონაცემების წყარო **მობილური მომსახურებებისთვის** არის ევროკომისიის დაკვეთით ბელგიური კომპანია VAN DIJK Management Consultant-ის მიერ გაკეთებული ანგარიში* ("**Mobile Broadband Prices in Europe, 2018**") ევროპისა და რამდენიმე არაევროპული ქვეყნის საკომუნიკაციო მომსახურებების ფასების ანალიზის შესახებ. 2018 წლის მონაცემებით განახლება გაკეთებულია Empirica-ს (გერმ.) მიერ.

ფიქსირებული მომსახურებების ფასების ანალიზი ფიზიკური პირებისთვის ეფუძნება ევროპის კომისიის დაკვეთით იგივე დამკვეთის მიერ მომზადებული 2019 წელს გამოქვეყნებული **„Broadband Market Developments in the EU“** ანგარიშის** 2018 წლის მონაცემებს.

იურიდიული პირი აბონენტების ფიქსიერებული მომსახურებების ფასების ანალიზისთვის გამოყენებულია ბრიტანული კომპანია Point Topic-ის ანგარიში*** "**Fixed broadband tariffs in Q1 2019**", სადაც წარმოდგენილია ბიზნეს სეგმენტის ინტერნეტ მომსახურების რეგიონალური ფასები.

*https://ec.europa.eu/digital-single-market/en/connectivity
**https://ec.europa.eu/digital-single-market/en/connectivity
***http://point-topic.com/free-analysis/fixed-broadband-tariffs-q1-2019/

მეთოდოლოგია

ანალიზი ითვალისწინებს ევროპის ქვეყნების ფიქსირებული და მობილური მომსახურებების ყველაზე იაფი პაკეტების შედარებას საქართველოში ხელმისაწვდომი ასევე, ყველაზე იაფი და ყველაზე ხშირად გამოყენებადი პაკეტის ფასებთან.

ანალიზი არ ითვალისწინებს აქციის ფარგლებში შეთავაზებულ პირობებს.

ფიზიკური პირი აბონენტების ფასების ანალიზი ეფუძნება 2018 წლის მონაცემებს, ხოლო იურიდიული პირი აბონენტების 2019 წლის პირველი კვარტლისას.

ფასები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით, **USD PPP***-ში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური კურსით.

სეგმენტები/პაკეტები

მობილური მომსახურებები (მხოლოდ **წინასწარი (Prepaid)** გადახდის პაკეტები)

- **ინტერნეტის პაკეტები**
- **შერეული პაკეტები**

ფიქსირებული მომსახურებები - **ფიზიკური** პირი აბონენტებისთვის

- **ცალკემდგომი ინტერნეტ მომსახურება**
- **კომბინირებული შეთავაზებები**

ფიქსირებული მომსახურებები - იურიდიული პირი აბონენტებისთვის

*** USD PPP** - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი აშშ დოლარში

მობილური მომსახურებები

მობილური ინტერნეტი

წყაროდ გამოყენებულ ანგარიშში ანალიზი გაკეთებულია 6 სხვადასხვა ინტერნეტ პაკეტისთვის. ამათგან, საქართველოს ბაზარზე არსებულ პაკეტებთან შედარებად პაკეტებად განისაზღვრა სამი მათგანი: 512 მბ, 1 გბ და 5 გბ, რომელთა შედარება გაკეთდა საქართველოს ბაზარზე არსებულ შემდეგ პაკეტებთან შესაბამისად:

მობილური ინტერნეტის პაკეტები (ლარი)

	500 მბ	1-1.2 გბ	4 გბ
მაგთიკომი	3	5	10
სილქნეტი	3	5	10
ვიონი საქართველო		4	9

*პაკეტების სარგებლობის ვადაა გააქტიურებიდან **30** დღე.*
მონიშნული ფასი არის გათვალისწინებული ანალიზში.

მობილური ინტერნეტი

500 მბ

(USD PPP)



1 გბ

(USD PPP)



5 გბ

(USD PPP)



* დიაგრამაზე წარმოდგენილი ევროკავშირის ქვეყნების საშუალო.
ევროკავშირის ყველა ქვეყნის საშუალო, რომელთაგან სხვა ქვეყნები მოიცავს შემდგომი გადახდის **(Postpaid)** პაკეტებს, არის შემდეგი: **500 მბ - 10.14 USD PPP; 1 გბ - 12.13 USD PPP; 5 GB - 21.46 USD PPP**

მობილური მომსახურების შერეული პაკეტები

წყაროდ გამოყენებულ ანგარიშში ანალიზი გაკეთებულია 6 სხვადასხვა შერეული პაკეტისთვის. ამათგან საქართველოს ბაზარზე 2018 წელს არსებულ პაკეტებთან შესაბამისად განისაზღვრა ორი მათგანი:

- პაკეტი #1 - 500 მბ, 100 ზარი
- პაკეტი #2- 2გბ, 900 ზარი

ეს პაკეტები შედარდა საქართველოს ბაზარზე არსებულ შემდეგ შეთავაზებებს:

შერეული პაკეტი _ I

	პაკეტის დასახელება	ინტერნეტის მოცულობა	წუთები ქსელს შიდა	წუთები ქსელს გარეთ	ფასი
ვიონი საქართველო	საბაზისო	1გბ	ულიმიტო	150	5 ლარი
სილქნეტი	მეტი S	100 მბ	120		5 ლარი
მაგთიკომი	N/A				

შერეული პაკეტი _ II *

	პაკეტის დასახელება	ინტერნეტის მოცულობა	წუთები ქსელს შიდა	წუთები ქსელს გარეთ	ფასი
ვიონი საქართველო	ულიმიტო	2 გბ	ულიმიტო	ულიმიტო	20 ლარი
სილქნეტი	უსარულო	1 გბ	უსასრულო	უსასრულო	25 ლარი
მაგთიკომი	მარტივი 25	1000 მბ	ულიმიტო	ულიმიტო	25 ლარი

*პაკეტების სარგებლობის ვადაა გააქტიურებიდან **30** დღე*
მონიშნული ფასი არის გათვალისწინებული ანალიზში.

* წყაროდ გამოყენებულ ანგარიშში მობილური მომსახურებების ულიმიტო პაკეტის ანალოგი, ულიმიტო სასაუბრო დროით, არ არის მოცემული, რის გამოც ანალიზში გავითვალისწინეთ ზარების ყველაზე დიდი რაოდენობის მქონე შეთავაზება.

მობილური მომსახურების შერეული პაკეტები

500 მბ
100 ზარი
(USD PPP)



2 გბ
900 ზარი
(USD PPP)



* დიაგრამაზე წარმოდგენილი ევროკავშირის ქვეყნების საშუალო.
ევროკავშირის ყველა ქვეყნის საშუალო, რომელთაგან სხვა ქვეყნები მოიცავს შემდგომი გადახდის **(Postpaid)** პაკეტებს, არის შემდეგი: **I** პაკეტი - **23.3 USD PPP; II** პაკეტი - **40.5 USD PPP**

ფიქსირებული მომსახურებები

ცალკემდგომი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი

წყაროდ გამოყენებული ანგარიში ითვალისწინებს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების 12 მბ/წმ - 30 მბ/წმ და 31 მბ/წმ - 100 მბ/წმ დიაპაზონის სიჩქარეების ფასების ანალიზს.

2018 წელს საქართველოს ბაზარზე არსებული პაკეტები :

ცალკემდგომი ინტერნეტი

		12 მბ/წმ- 30 მბ/წმ		31 მბ/წმ- 100 მბ/წმ		
	10 მბ/წმ	**20 მბ/წმ**	**30 მბ/წმ**	**35 მბ/წმ**	**50 მბ/წმ**	**100 მბ/წმ**
მაგთიკომი	27 ლარი	**30 ლარი**	37 ლარი		50 ლარი	100 ლარი
სილქნეტი	26 ლარი	35 ლარი		**40 ლარი**	50 ლარი	100 ლარი

მუქად მონიშნული ფასი არის გათვალისწინებული ანალიზში.

ცალკემდგომი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი

12 მბ/წმ-დან 30 მბ/წმ ჩათვლით დიაპაზონის პაკეტები (USD PPP)



31 მბ/წმ-დან 100 მბ/წმ ჩათვლით დიაპაზონის პაკეტები (USD PPP)



* დიაგრამაზე წარმოდგენილი ქვეყნების საშუალო.

ფიქსირებული მომსახურებების კომბინირებული შეთავაზებები

წყაროდ გამოყენებული ანგარიში ითვალისწინებს ფიქსირებული მომსახურებების (ინტერნეტი, ტვ, ფიქს. ტელეფონი) ისეთ კომბინაციებს, რომელიც ინტერნეტის 12 მბ/წმ - 30 მბ/წმ და 31 მბ/წმ- 100 მბ/წმ დიაპაზონის სიჩქარის პაკეტებს შეიცავს.

2018 წელს საქართველოს ბაზარზე არსებული კომბინირებული შეთავაზებებიდან (ინტერნეტი, ტვ, ფიქს. ტელ.) გათვალისიწნებულია <u>მხოლოდ სილქნეტის</u> პაკეტები, ვინაიდან მაგთიკომი სტანდარტულ შეთავაზებებში ფიქსირებულს ტელეფონს ინტერნეტთან და ტელევიზიასთან კომბინაციაში არ სთავაზობდა.

ანალიზი ითვალისწინებს ისეთ კომბინაციებს, რომელშიც შედის ტელევიზიის ყველაზე მეტად მოხმარებადი პაკეტი.

შეთავაზება #1 (ინტერნეტი, ტელევიზია, ფიქს. ტელ.)
(ინტერნეტის სიჩქარის დიაპაზონი 12 მბ/წმ - 30 მბ/წმ)

	ინტერნეტი	ტელევიზია	ტელეფონია	ფასი
სილქნეტი	20 მბ/წმ	171 არხი	თბილისი - 4 ლარი	52 ლარი

შეთავაზება #2 (ინტერნეტი, ტელევიზია, ფიქს. ტელ.)
(ინტერნეტის სიჩქარის დიაპაზონი 31 მბ/წმ - 100 მბ/წმ)

	ინტერნეტი	ტელევიზია	ტელეფონია	ფასი
სილქნეტი	35 მბ/წმ	171 არხი	პაკეტი 1	58 ლარი

ფიქსირებული მომსახურებების კომბინირებული შეთავაზებები

კომბინაცია ინტერნეტის 12 მბ/წმ-დან 30 მბ/წმ დიაპაზონის პაკეტით (USD PPP)



კომბინაცია ინტერნეტის 30 მბ/წმ-დან 100 მბ/წმ დიაპაზონის პაკეტით (USD PPP)



* დიაგრამაზე წარმოდგენილი ქვეყნების საშუალო.

იურიდიული პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის შეთავაზებები

Type something

მაგთიკომი _ შეთავაზება მცირე ბიზნესისთვის

	პაკეტი #1	პაკეტი #2	პაკეტი #3
ინტერნეტის სიჩქარე	768 კბ/წმ – დან 6 მბ/წმ – მდე	1 მბ/წმ – დან 8 მბ/წმ – მდე	2 მბ/წმ – დან 10 მბ/წმ – მდე
ყოველთვიური ღირებულება	55 ლარი	75 ლარი	145 ლარი
აქტივაციის ღირებულება	80 ლარი	80 ლარი	უფასო
1 მბ/წმ-ის ფასი	**9.2 ლარი**	9.4 ლარი	14.5 ლარი

სილქნეტი_ შეთავაზება მცირე ბიზნესისთვის

	Business Pro 2	Business Pro 4	Business Pro 6	Business Pro 8	Business Pro 12	Business Pro 14	Business Pro 18
სიჩქარე	2 მბ/ წმ	4 მბ/ წმ	6 მბ/ წმ	8 მბ/წმ	12 მბ/წმ	14 მბ/წმ	18 მბ/ წმ
სააბონენტო გადასახდელი	29 ლარი	49 ლარი	59 ლარი	99 ლარი	149 ლარი	197 ლარი	299 ლარი
ინსტალაციის საფასური	100 ლარი						
1 მბ/წმ სიჩქ ფასი	14.5	12.3	9.8	12.4	12.4	14.1	16.6

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის შეთავაზებები იურიდიული პირი აბონენტებისთვის



კომუნიკაციების კომისია

აგვისტო, 2019